ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 23 ოქტომბერი, 2020 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
3. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. ალუ გამახარია - ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
6. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
7. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
8. თენგიზ სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა სოციაცია
9. მამუკა ბერძენიშვილი - ტურიზმის ინსტიტუტი

განსახილველი საკითხები:

1. პროექტის პრეზენტაცია ,,ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების დანერგვა- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად" ნინო ელიზბარაშვილი და პროექტის გუნდი.

2. ბიო პროდუქტების წარმოების ხელშეყწობა და

შესაბამისი პროგრამების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან-კონსტანტინე ჟღენტი

3. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში-დავით ცისკარიძე

4. დისკუსია მე-2 სამუშაო ჯგუფის სამომავლო აქტივობების შესახებ.

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა, დავით ცისკარიძემ და კონსტანტინე ჟღენტმა. მათ ჯგუფის წევრებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

თავდაპირველად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის შეხვედრაზე მონაწილეობდა მეოთხე სამუშაო ჯგუფის ახალი წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელი, შეხვედრაზე წარმოდგენილმა ორგანიზაციებმა მოკლედ წარუდგინეს თავი და ისაუბრეს მათი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების დანერგვა- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად" პრეზენტაცია გაიმართა მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრისას. პროექტის ძირითადმა აპლიკანმტმა, ნინო ელიზბარაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას მცირე პრეზენტაციით წარუდგინა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და მათი შედეგები. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების დანერგვისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა. პროექტში მონაწილეობდა ეროვნული პლატფორმის წევრი რვა ორგანიზაცია. შესაბამისად, თემატური მიმართულებების გათვალისწინებით, მომზადდა შვიდი პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე მზადების პროცესშია შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს და დაფარავს პროექტით გათვალისწინებულ ყველა თემატურ მიმართულებას. შეხვედრის მინმდინარეობისას, პროექტში ჩართულმა კო-აპლიკანტებმაც ისაუბრეს თავიანთ მიმართულებებზე.

შემდეგ საკითხად, ჯგუფის კოორდინატორმა, კონსტანტინე ჟღენტმა, ისაუბრა ბიო პროდუქტების წარმოების მნიშვნელობაზე. ამ ეტაპისთვის მხოლოდ ერთი პროექტის „გრეტა“-ს ფარგლებში ხორციელდება აღნიშნული სფეროს დაფინანსება. კორონავირუსის პანდემიის გამო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების ათვისება ვეღარ მოხერხდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ DCFTA-ის ფარგლებში, ევროპული ბაზრისთვის, ძალიან მნიშვნელოვაინა ბიო პროდუქტების წარმოება და მისი გატანა ევროპის ბაზარზე.

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, დათო ცისკარიძემ, წარმოადგინა პრეზენტაცია „მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები საქართელოში“. კორონავირუსით განპირობებული ეკონომიკური რეცესია აღემატება 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისს. პრეზენტაციის ფარგლებში განხილული იყო საგარეო ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მთლიანი შიდა პროდუქტის და მოგზაურობიდან

მიღებული შემოსავლების წილები. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ინფორმაცია, მიღებულია ოფიციალური წყაროებიდან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო წყაროებზე დაყრდნობით.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე